ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 38
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

გორი 6 აპრილი 2015 წ.

ერთის მხრივ, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია (შემდგომში "შემსყიდველი"), სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ***ზურაბ რუსიაშვილის*** სახით და მეორეს მხრივ, ***შ.პ.ს „იბერიასერვისი" ს ცენტრის დირექტორი დავით ჯობაძის სახით, ს/კ 204982359*** (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სატრანსპორტო საშვალებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების,შეკეთება მომსახურება (CPV 50100000), კერძოდ "მიმწოდებელმა" უზრუნველყოს "შემსყიდველის" ბალანსზე რიცხული ავტომანქანის - SKODA სახ. ნომრით - AA-516-CC, შეკეთება.

ძრავის ზეთი 5.5 ლიტრი, ერთი ლიტრის ღირებულება 20.00 ლარი, სულ ღირებულება 110.00 (ასათი) ლარი.
ძრავის ზეთის ფილტრი 1 ცალი, ღირებულება 30.00 (ოცდაათი) ლარი.
წინა სამუხრჭე ხუნდები 1 კომპლექტი, ღირებულება 160.00 (ას სამოცი) ლარი.
პატარა ვტულკა 2 ცალი, სულ ღირებულება 70.00 (სამოცდაათი) ლარი.
გიტარის დიდი ვტულკა 2 ცალი, სულ ღირებულება 70.00 (სამოცდაათი) ლარი.
წინა სუხოის სტერჟინი 2 ცალი, სულ ღირებულება 180.00 (ას ოთხმოცი) ლარი.
ტრავერსის ვტულკა 1 ცალი, სულ ღირებულება 140.00 (ას ორმოცი) ლარი.
მომსახურება 142.00 (ას ორმოცდაორი) ლარი;

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 902.00 (ცხრაასორი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს "შემსყიდველის" მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები, და პირობები

4.1. შესყიდვის საგნის მიწოდება (მომსახურება) განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, "მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა "შემსყიდველისთვის", სასაქონლო ზედნადების, საგადასახდო ანგარიშ-ფაქტურის ან მიღება-ჩაბარების წარდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ, საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება ანაზღაურდება უნაღდო ანგარიშწორებით.
6.3. ანგარიშსწორება "შემსყიდველის" მიერ მოხდება სტანდარტული გადახდით.
6.4. ანგარიშსწორება "შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინადამდებარე ხელშეკრულების 4.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. "შემსყიდველს" უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 30 აპრილამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

5. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას "შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს გიორგი იაკობაშვილი – გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსი სპეციალისტი.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ "შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს "მიმწოდებელს", წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ან ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის	შ.პ.ს ,,იბერიასერვისი"
მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–2 კმ
მუნიციპალიტეტში სახელმწიფო	ს/კ 204982359
რწმუნებულის –	ს/ს "საქართველოს ბანკი"
გუბერნატორის ადმინისტრაცია	ა/ა GE79BG0000000875689101
ქ. გორი, სტალინის გამზ. 16	ბანკის კოდი BAGAGE22
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა	
ანგ. 200122900, კოდი 220101107	
საიდენტიფ. კოდი 217889514	
სახელმწიფო რწმუნებული- გუბერნატორი	

_____ *ფიროზ რუსიშვილი* _____ *დავით ჯობაძე*